გიორგი მაჭარაშვილი

ეკლესიური ერთობის დარღვევა რომსა და საქართველოს შორის

გიორგი მაჭარაშვილი

ეკლესიური ერთობის დარღვევა რომსა და საქართველოს შორის

(თარიღის პრობლემა)

თბილისი
2003

მოცემულ საკითხს ჩვენ უკვე მივუძღვენით ერთი პუბლიკაცია. 2002 წელს ალმანახ „კავკასიის მაცნეში“ (#5) გამოვაქვეყნეთ სტატია სათაურით „პაპისტური მსოფლიო კრებების უარყოფა ქართველთაგან და ეკლესიური ერთობის დარღვევა რომთან“.

ამჯერად მიზნად ვისახავთ მიმოვიხილოთ ისეთი მასალები, რომლებსაც ზემოხსენებულ პუბლიკაციაში არ შევხებივართ და რომლებიც, საკითხის ქრონოლოგიის დასაზუსტებლად, საკმაოდ საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდიან.

© გიორგი მაჭარაშვილი

თავის დროზე სავსებით სამართლიანად აღნიშნა რემონ ჟანენმა კათოლიკური ღვთისმეტყველების ენციკლოპედიაში, რომ **„არ არის მიკვლეული რაიმე საბუთი, რომელიც რამდენადმე მაინც ნათელს მოჰფენდა ამ საკითხს“** [1:36].

სამწუხაროდ, ისტორიას ჩვენთვის მართლაც არ შემოუნახავს ამ მოვლენის ამსახველი წყარო. მხედველობაში გვაქვს საქართველოს ეკლესიის ცნობიერების გამომხატველი ქართველ იერარქთა სინოდალური გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც მოხდა რომთან ერთობის დარღვევა.

ჩვენ არც ისეთ ეპისტოლურ ძეგლებზე მიგვიწვდება ხელი, სადაც ასახული იქნებოდა ქართულ-კათოლიკური პოლემიკა ჩვენს შორის ეკლესიური ერთობის დარღვევის ადრეულ ეტაპზე. ვგულისხმობთ „ეპისტოლეთა წიგნში“ შესული სომხურ-ქართული პოლემიკის ანალოგიურ მასალებს.

ამიტომ, პირდაპირი წყაროების არარსებობისა და შემორჩენილი ცნობების ფრაგმენტულობისა თუ სიმწირის გამო, ჩვენს სამეცნიერო საზოგადოებაში გამოითქვა სხვადასხვა, ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება იმ თარიღთან დაკავშირებით, თუ როდის დაირღვა ეკლესიური ერთობა რომსა და საქართველოს შორის.

მაგალითად, მიხეილ თამარაშვილის აზრით, საქართველოს ეკლესიასა და რომს ერთობა ჰქონდათ **„XIII ს-ის I ნახევრამდე მაინც“** [2:7]. და ეს ერთობა **„მტკიცედ დაცულა ვიდრე 1230 წლამდე... ამის შემდგომ მომხდარა განცალკევება, მაგრამ რომელ წელში, ანუ რა შემთხვევაში, ეს ჯერ არ სჩანს“** - აღნიშნავდა იგი [2:13].

თამარაშვილისავე აზრით, 1230 წლის შემდგომ მომხდარ განხეთქილებას **„მალე ბოლო მოეღო“**, - ანუ ერთობა ისევ აღდგა, - და ეს მომხდარა, როგორც იგი ფიქრობდა, 1240 წელს: **„ეს შემოერთება უეჭველად უნდა მომხდარიყო იმავე დროს“**, -

აღნიშნავს მიხეილ თამარაშვილი 1240 წლის 13 იანვარს პაპ გრიგოლ IX-ს მიერ რუსუდანისადმი მოწერილი წერილის კომენტირებისას [2:17]. შემდეგ აღარსად უთითებს, თუ კერძოდ როდის დაირღვა 1240 წელს, მისი აზრით, აღდგენილი ერთობა.

სწორედ ამიტომ აღნიშნავდა უწმიდესი კირიონი თავის **„კრიტიკულ შენიშვნებში“**, რომ **„სულ შეერთება ელანდება-ო თამარაშვილს“**. მეუფე კირიონის სამართლიანი აზრით, **„რუსუდანმა მხოლოდ სურვილი გამოთქვა შეერთებისა და მისი მიმოწერიდან ერთობის ფაქტი არ ჩანს“** [3:146].

უწმიდესი კირიონი ასევე აღნიშნავდა, რომ დიდი სქიზმის შემდეგ შედგენილ ქართულ საბუთებში ხუთი პატრიარქის მოხსენიება სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს საქართველო რომთან იმყოფებოდა ერთობაში [3:146], როგორც ამის შესახებ წერდა, მაშინ ჯერ კიდევ ახალბედა მკვლევარი ქართველ კათოლიკეთა ისტორიისა, თეოლოგიის დოქტორი მიხეილ თამარაშვილი.

მიხეილ თამარაშვილის ხსენებული მოსაზრება უფრო გვიან სავსებით დამაჯერებლად უარყო მანანა ჯავახიშვილმა იმ ძლიერი კონტრარგუმენტის წამოყენებით, რომ ხუთი პატრიარქის მოხსენიება საქართველოში XIII საუკუნის შემდეგაც ხდებოდა - მას ადგილი ჰქონდა XV-XVI საუკუნეებშიც კი [4:43-45, 133], ანუ ეს მაშინაც ხდებოდა, როცა რომშიც დანამდვილებით იცოდნენ, საქართველოს ეკლესია მათთან ერთობაში არ იმყოფებოდა (და ეს ნათლად ჩანს პაპების წერილებიდან).

ამგვარად, მანანა ჯავახიშვილის შრომამ ცხადყო უწინ, ჯერ კიდევ უწმიდესი კირიონის მიერ, **„კრიტიკულ შენიშვნებში“** უაღრესად მოკლედ გამოთქმული ზემოხსენებული აზრის მართებულობა.

მანანა ჯავახიშვილმა, ამავე დროს, მოგვცა საქართველოსა და რომს შორის ეკლესიური ერთობის

დარღვევის განსხვავებული დათარიღება. და იგი განსაზღვრა, როგორც 1054 წელს მომხდარი ჰუმბერტის ავანტიურის თანადროული მოვლენა [4:105].

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სრულიად განსხვავებული მოსაზრება აქვთ გამოთქმული თამაზ ბერაძესა და მანანა სანაძეს. მათი აზრით, რომი და საქართველო საბოლოოდ გაემიჯნენ ერთმანეთს XIV საუკუნეში, კერძოდ 1318 წელს[1].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ არ მიგვაჩნია მართებულად საქართველოსა და რომს შორის ეკლესიური ერთობის დარღვევის არცერთი ზემოხსენებული დათარიღება, რადგან უტყუარი ფაქტები მოწმობენ მათ წინააღმდეგ.

მაგალითად, მივაქციოთ ყურადღება, 1318 წელს, ან უფრო ადრე, 1240 წლამდე თუ იცოდნენ კათოლიკებმა იმის შესახებ, რომ საქართველო არ იყო მათი ერთმორწმუნე? - როგორც ჩანს იცოდნენ.

ეს დასტურდება, თუნდაც, იერუსალიმის ლათინი პატრიარქის ჟაკ დე ვიტრის სიტყვებიდან, რომ ქართველები **„საეკლესიო საიდუმლოებებს ბერძნულად აღასრულებენ“** [6:29-30].

უნდა აღინიშნოს, რომ საეკლესიო საიდუმლოებების (უწინარესად კი ევქარისტიის) **„ბერძნულად აღსრულებაში“**, რომაელი პაპისტები ხედავდნენ ნამდვილ ერეტიკულ საქციელს. მათი აზრით, გაფუებული პურის გამოყენებით ევქარისტია ხდება **„ხრწნადის“, „შერყვნილი ბუნებისა“** და **„წახდენის შემცველი“**, ანუ უმადლო [7:8]. პაპ ლეონ IX-ს (1048-1054) შეჩვენებების ბულის მიხედვით, მარტო ევქარისტიაში საფუვრიანი პურის გამოყენება მანიქეველთა ერესთანაა

---

[1] . ***„1318 წელს კათოლიკურმა ეკლესიამ თავისი დამოუკიდებელი საეკლესიო ორგანიზაცია შექმნა მონღოლთა ილხანთა სახელმწიფოში და ამით ის ქართული ეკლესიის თვალში საბოლოოდ გაემიჯნა მართლმადიდებლურ სამყაროს“***[5:193].

გათანაბრებული [8:5] სხვა საეკლესიო საიდუმლოებების **„ბერძნულად აღსრულებაზე“** რომ აღარაფერი ვთქვათ.

ამგვარად, ჟაკ დე ვიტრის ცნობით, რომელიც 1180 წლით თარიღდება, გამოდის, რომ დასავლელთა აზრით, ბერძნები და ქართველები მანიქეველთა მსგავს ცდომილებაში იყვნენ და, შესაბამისად, საქართველოს ეკლესიაში აღსრულებული ევქარისტია იყო უმადლო, როგორც **„შერყვნილი ბუნებისა“** და **„წახდენის შემცველი“**.

მაგრამ საქმე იმაშია, ლათინებმა 1180 წლამდეც დანამდვილებით იცოდნენ, რომ ქართველები არ იყვნენ მათი სარწმუნოებრივი თანამოაზრენი. ეს ჩანს ოტო ფრაიზინგელის ცნობიდან, რომელიც XII საუკუნის I ნახევრით თარიღდება და რომელშიც ქართველები, რატომღაც, ნესტორიანებად იწოდებიან[2].

დასავლელთა მიერ ქართველების ნესტორიანებად მოხსენიების ფაქტი გვაფიქრებინებს ორ რამეს:

პირველი - მათ შესაძლოა ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ ჩვენი წინაპრების სარწმუნოების შესახებ (რაც ძნელი დასაჯერებელია), მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის კი დანამდვილებით იცოდნენ, რომ ქართველები არ იყვნენ მათი ერთმორწმუნენი;

და მეორე - მათ სწორედაც რომ დანამდვილებით იცოდნენ ქართველების მართლმადიდებლობის შესახებ და შეგნებულად, სწორედ ამის გამო, უწოდებდნენ ისინი ჩვენს წინაპრებს ნესტორიანებს, რადგან სწორედაც მართლმადიდებელ სარწმუნოებაში ხედავდნენ ისინი ნესტორიანთა ერესის ნიშნებს. და ისინი ამას აკეთებდნენ მსგავსად ქალკედონის კრების უარმყოფელი სომხებისა, რომლებიც, თავის დროზე, საქართველოსთან განხეთქილების დროს, მართლმადიდებელ

---

[2] . მეფე-ხუცესი იოანე, ანუ წმ. დავით აღმაშენებელი, ***„თავისი ხალხითურთ ნესტორიანულ სარწმუნოებას აღიარებს“*** [9:136-137; 10:153]

ქართველებს ასევე ნესტორიანობაში სდებდნენ ბრალს[3]. და ამას ისინი იმიტომ კი არ აკეთებდნენ, რომ თითქოს არ იცოდნენ, სინამდვილეში რა სწამდათ ქართველებს, არამედ პირიქით, ქართველთა სარწმუნოების აბუჩად აგდების, მისი დაგმობისა და განქიქების მიზნით უწოდებდნენ მას ნესტორიანობას (იცოდნენ კი, რომ დიოფიზიტობა სინამდვილეში არანაირად არ არის ნესტორიანობა).

სხვაგვარი ახსნა ოტო ფრაიზინგელის ცნობას უბრალოდ შეუძლებელია მოეძებნოს.

ამგვარად, როგორც ამას ოტო ფრაიზინგელის ქრონიკა ცხადყოფს, უკვე XII საუკუნის I ნახევარში საქართველო ნამდვილად არ არის რომთან სარწმუნოებრივ ერთობაში. ამის შესახებ იციან დასავლეთში და სწორედ ამის გამო იხსენიებენ ისინი ქართველებს ნესტორიანებად.

მაშ ასე, - XII საუკუნის I ნახევარი, - ასეთია ჩვენს ხელთ არსებული დასავლური წყაროების მონაცემები.

ახლა ვნახოთ, რამდენად დაეთანხმება ამ თარიღს ქართული წყაროები. მივაქციოთ ყურადღება იმას, თუ როდიდან გვხვდება მათში აშკარად ანტიკათოლიკური სწავლების გადმოცემის უადრესი შემთხვევები იმ ძირითად სადავო თეოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც ერთმანეთს გაემიჯნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანები.

ქართული წერილობითი ძეგლები ცხადყოფენ, რომ საქართველოსა და რომს შორის სარწმუნოებრივი ურთიერთდაშორება და გაუცხოება XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე უკვე იმდენად თვალშისაცემია, უბრალოდ წარმოუდგენელია, ასეთ ვითარებაში ჩვენ შორის ეკლესიური ერთობა შენარჩუნებულიყო. ამგვარად, როგორც ჩანს, სწორედ ამ დროისთვის, XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე, მოხდა ჩვენს შორის

[3] . იხ. ეპისტოლეთა წიგნი.

ეკლესიური ერთობის დარღვევა. ან, უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ XI საუკუნის მიწურული და XII საუკუნის დასაწყისი არის მიჯნა, როდესაც ბოლოსდაბოლოს დასრულდა ჩვენ შორის ეკლესიური ერთობის დარღვევის ხანგრძლივი პროცესი.

აი კერძოდ რას გვაუწყებენ ქართული წყაროები:

პაპისტური აბსოლუტიზმის იდეასთან სრულიად შეუსაბამოა ის, რასაც ვკითხულობთ არსენ იყალთოელის თარგმნილ სჯულისკანონში იმის შესახებ, რომ ერთის მხრივ რომისა და კონსტანტინეპოლის ეკლესიები არიან თანასწორნი, - **„კოსტანტინოპოლისა ეპისკოპოსსა აქუნდინ წარჩინებულებაჲ პატივისაჲ, სწორი ჰრომისა ეპისკოპოსისაჲ“** [11:261][4], ხოლო მეორეს მხრივ, აღმოსავლეთში **„თავი არს ყოველთა ეკლესიათაჲ ეკლესიაჲ კოსტანტინეპოლისაჲ“** და **„ეპისკოპოსსა კოსტანტინეპოლისსა აქუს უაღრესობაჲ სხუათაჲ...“** [11:126][5].

აღნიშნულთან დაკავშირებით ღირსი არსენ იყალთოელი აკეთებს ამგვარ შენიშვნას: **„შეისწავე, ვითარმედ კოსტან-ტინეპოლესა აქუს უაღრესობაჲ სხუათაჲ...“** [11:126].

მეტად საინტერესო ფაქტია, რომ სწორედ აღნიშნულ პერიოდში ფიქსირდება უადრესი შემთხვევები, როდესაც საქართველოს ეკლესიაში ხდება ფილიოკვეს შესახებ დასავლეთში გაბატონებული სწავლების პირდაპირი უარყოფა. და ესეც ასევე დაკავშირებულია წმიდა არსენ იყალთოელის სახელთან და, მასთან ერთად, წმიდა ეფრემ მცირესთან.

მაგალითად, აი როგორ სწავლებას ვხვდებით იოანე დამასკელის **„მართლმადიდებელი სარწმუნოების ზედმიწევ-ნით გარდამოცემაში“**:

---

[4] . კონსტანტინეპოლის მეორე მსოფლიო კრების აღნიშნული განწესების ნამდვილობას დასავლელი ქრისტიანები ეჭვქვეშ აყენებენ.

[5] . იმის თაობაზე, რომ ეს თარიღდება XI-XII ს-თა მიჯნით იხ. [11:21; 12:254].

ეფრემ მცირისეულ თარგმანში (რომელიც XI საუკუნის 80-იან წლებშია შესრულებული [14:12]) ვკითხულობთ: **„ძისაგან გამომავლად სულსა არა ვიტყვით“** [14:59].

მოცემული ციტატის ოდნავ განსხვავებული, მაგრამ აზრობრივად სრულიად იდენტური რედაქციაა მოცემული მამა არსენისეულ თარგმანში (რომელიც XI-XII საუკუნეთა მიჯნას მიეკუთვნება [14:13]): **„ძისაგან არა ვიტყვით სულსა“** [14:59].

იგივე სწავლებაა გადმოცემული წმიდა ანასტასი სინაელის **„წინამძღვარში“**, რომლის ქართული თარგმანიც ეკუთვნის ასევე წმიდა არსენ იყალთოელს. მის XVI თავში პირდაპირ წერია, რომ სულიწმიდა არ გამოვალს ძისაგან.

ასეთი მოძღვრება ეპყრა საქართველოს ეკლესიას იმ უმთავრესი სადავო დოგმატური საკითხის შესახებ, რომლის გამოც ერთობა დაირღვა რომსა და მართლმადიდებელ აღმოსავლეთს შორის. ბუნებრივია, სრულიად წარმოუდგენელია, რომ დიდი სქიზმის ეპოქაში მსგავსი სარწმუნოებრივი სახელმძღვანელოები ჰქონოდა ეკლესიას, რომელიც რომთან ერთობაში იმყოფებოდა.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ აღნიშნულ პერიოდში, როდესაც მოხდა ქართულად **„მართლმადიდებელი სარწმუნოების ზედმიწევნითი გარდამოცემისა“** და **„წინამძღვარის“** თარგმნა, პაპ ურბან II-ს მეთაურობით ქალაქ ბარში გაიმართა რომის ადგილობრივი ეკლესიის კრება, რომელმაც შეაჩვენა ყველა, ვინც ფილიოკვეს არ შეიწყნარებდა. ეს მოხდა 1098 წელს. რა თქმა უნდა შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ამ დროს აღიპყრა ხელში სრულიად საქართველოს ეკლესიამ წმიდა იოანე დამასკელის მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გარდამოცემის ქართული თარგმანი, სადაც ვკითხულობთ: **„ძისაგან გამომავლად სულსა არა ვიტყვით“** / **„ძისაგან არა ვიტყვით სულსა“**.

რა თქმა უნდა, ეს ქრონოლოგიური დამთხვევები შემთხვევითი არ არის. აშკარაა, რომ ამ მოვლენებს შორის

უდავოდ არსებობს შინაგანი კავშირები. არც ის არის შემთხვევითი, რომ წიგნიერი ქართველი საეკლესიო მოღვაწენი მუშაობდნენ სწორედ ისეთ საღვთისმეტყველო საკითხებზე, რომლებიც იმ ეპოქაში მეტად აქტუალური იყო. ცხადია, მიმდინარეობდა მუშაობა საიმისოდ, რომ საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის საბოლოო გადაწყვეტილება მოცემულ საკითხზე ყოფილიყო სათანადოდ დასაბუთებული.

ამგვარად, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების შეჯერებით, ცხადი ხდება, რომ საქართველოსა და რომს შორის ეკლესიური ერთობის დარღვევის თარიღად XI-XII საუკუნეთა მიჯნა უნდა განვსაზღვროთ.

მსგავსი ქრონოლოგია გამოჩნდა ქართული საკანონმდებლო აქტების მონაცემების განხილვის შედეგადაც: „XI საუკუნის შემდეგ აღარ გვხვდება არცერთი შემთხვევა ქართველ მართლმადიდებლებსა და ლათინთა შორის ეკლესიური ერთობის გარეგნული გამოვლინებისა უმაღლეს დონეზე“, **„ეკლესიური ერთობის უმაღლესი საფეხური ქართველ მართლმადიდებლებსა და რომაელ პაპისტებს შორის XI საუკუნის ბოლოსთვის უკვე დარღვეულია“** - ასეთია აზრი, რომელიც ჩვენ თავდაპირველად ჩამოვაყალიბეთ, როდესაც მოცემული საკითხი სულ სხვა კუთხით განვიხილეთ (იხ. ჩვენი პუბლიკაცია, რომელიც ამ წერილის თავში გვაქვს მოხსენიებული).

დასასრულ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ მოკლედ იმის შესახებ, თუ რატომ არ ვუჭერთ მხარს მანანა ჯავახიშვილის მიერ დასახელებულ 1054 წელს.

საქმე ისაა, რომ ამის წინააღმდეგ მოწმობს ისეთი მაღალპატივდებული ქართველი საეკლესიო მოღვაწის სიტყვები, როგორიცაა წმიდა გიორგი ათონელი. ვგულისხმობთ 1065 წელს ბიზანტიის იმპერატორის კარზე მის მიერ გამოთქმულ აზრს, რომლის მიხედვითაც, რომი ჯერ კიდევ არის მადლმოსილი ეკლესია. ე.ი. მართლმადიდებელ

აღმოსავლეთში ამ დროს რომის ეკლესია ჯერ კიდევ მიიჩნევა ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის ნაწილად (მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისთვის ევქარისტული და ლოცვითი ერთობა უკვე კარგა ხნის დარღვეულია). და საერთოდ, 1054 წლის მიჩნევა დიდი სქიზმის თარიღად მხოლოდ XVI საუკუნიდან დაიწყეს. მანამდე ასე არავინ ფიქრობდა.

ამგვარად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ რომსა და საქართველოს შორის ეკლესიური ერთობის დარღვევის თარიღად, ყველაზე მართებული იქნება, თუკი განვსაზღვრავთ XI-XII საუკუნეთა მიჯნას. მიგვაჩნია, რომ საქართველოს ეკლესიის გამიჯვნა რომისგან მოხდა აღმოსავლეთის დიდ საპატრიარქო საყდრებთან ერთად. სხვაგვარად წარმოუდგენელია, რადგან საქართველოს ეკლესია მართლმადიდებელი აღმოსავლეთის განუყოფელი ნაწილი იყო. ამას მოწმობს დიდი სქიზმის ეპოქაში შედგენილი პეტრიწონის ტიპიკონიც (1083 წ.), რომლის თანახმად, ქართველები ბერძენთა მოწაფეები და მათი სარწმუნოების მიმდევრები არიან.

ლიტერატურა

1. რემონ ჟანენი, კათოლიკური ღვთისმეტყველების ენციკ-ლოპედია, ტ. 6, ნაწ. I, პარიზი, 1924 წ., ფრანგულიდან თარგმნა და გამოსცა მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1996 წ.
2. მიხეილ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნითგან ვიდრე XX საუკუნემდე, ტფ., 1902 წ.
3. გიორგი მაჭარაშვილი, მეუფე კირიონი და მიხეილ თამარაშვილი (კირიონის კრიტიკული შენიშვნები მ. თამარაშვილის პირველ მონოგრაფიაზე), ჟურ. მნათობი, 2002 წ., #5-6.
4. მანანა ჯავახიშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა რომის კათოლიკურ ეკლესიასთან XI-XIV საუკუნეებში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1997 წ.
5. თამაზ ბერაძე, მანანა სანაძე, საქართველოს ისტორია, წიგნი I, ანტიკური ხანა და შუა საუკუნეები, თბ., 2003 წ.
6. გრიგოლ ფერაძე, უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, თბ. 1995 წ.
7. ეკლესიის გაყოფის საბოლოო აქტი, გაზ. „მადლი“, 18 სექტემბერი 1997 წ., #8-9.
8. გვანცა კოპლატაძე, გრიგოლ რუხაძე, „ლათინთა საკითხი გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში“, გაზ. „მადლი“, 1 ივლისი 1997 წ., #6-7.
9. ტრისტან მაჭარაშვილი, „1054 წლის საეკლესიო განხეთქილება და საქართველოს ეკლესია“, კრ. საისტორიო შტუდიები, 1, თბ., 2000 წ.

10. შოთა ბადრიძე, საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასთან და დასავლეთ ევროპასთან, თბ., 1984 წ.
11. დიდი სჯულისკანონი, ე. გაბიძაშვილის რედაქციით, თბ., 1975 წ.
12. კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1, თბ., 1951 წ.
13. Огицкий Д., Козлов М., Православие и Западное Христианство, М., 1999 г.
14. იოანე დამასკელი, მართლმადიდებელი სარწმუნოების ზედმიწევნითი გარდამოცემა, ორი ძველი ქართული თარგმანის რომან მიმინოშვილისა და მაია რაფავას გამოცემა ედიშერ ჭელიძის ახალქართულ თარგმანთან ერთად, თბ., 2000 წ.